მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 9 იანვარი, 1952 წ. № 7 (9167). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები ახალი ამოცანების წინაშე — მოწინავე (1-ლი გვერდი).

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვისადმი მისი დაბადების 50 წლისთავის გამო (1-ლი გვერდი).

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ გ. მ. მალენკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების გამო (1-ლი გვერდი).

მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — ყურადღება კომუნისტების კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს (მე-2 გვერდი).

პატარა ლიახვი ახალი მიმართულებით იდგმნა (მე-2 გვერდი).

აქტიურად დავუჭიროთ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს — პრესა (8-I მოწინავე (მე-2 გვერდი).

ეკონომიურ თემაზე — ფიზიკოსლოგიურ მუშაობის [illegible] ფეგისათვის (მე-3 გვერდი).

ვადები იწურვეა, ჩაის საამუშაოთა შესრულება ჭიანურდება (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები ახალი ამოცანების წინაშე

განვლილი სამეურნეო წელი ჩვენი უძლეველი სამშობლოს შემდგომი წინსვლის, მისი ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის წელიწადი იყო. ახორციელებდა რა დიდი სტალინის მიერ დასახულ კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, საბჭოთა ხალხმა განვლილ სამეურნეო წელს ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და ახალ მშენებლობებში, სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა ხალხის ამ უდიდეს გამარჯვებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1951 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვებამ ერთიანორად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. ამასთანავე ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება გრანდიოზული სამშენებლო პროგრამა, რასაც მრავალი ათეული მილიარდი მანეთი ხმარდება. მშენებლობის გრანდიოზულობის საუკეთესო დადასტურებას მოწმობს ის ფაქტი, რომ შარშან სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების მოცულობა ორნახევარჯერ და უფრო მეტად სჭარბობდა 1940 წლის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას. უდიდეს სახსრებს ახმარს ჩვენი ქვეყანა ვოლგასა და დონზე, ამუდარიასა და დნეპრზე მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისა და სარწყავი არხების აგებას, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებას.

განვლილი სამეურნეო წელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვის წელიწადი იყო. წარმოებაში დაინერგა მრავალი ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანა და მექანიზმი. მარტო შარშან მანქანათმშენებელმა საწარმოებმა აითვისეს და გამოუშვეს ოთხასზე მეტი ახალი ტიპის მანქანები და მექანიზმები. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ შემდგომ ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, შევამციროთ თვითღირებულება.

საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ ამ უდიდეს გამარჯვებებში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების დიდმა უმრავლესობამ ვადამდე და თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმები.

გასული სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერი შრომა გააჩაღეს ჭიათურელმა მაღაროელებმა. მუშაობის ეს ტემპი მათ ბოლომდე შეინარჩუნეს. ამის შედეგად მაღაროელებმა შარშან ქვეყანას მისცეს ათეულ ათასობით ტონა ზეგეგმითი მარგანეცი, საგრძნობლად გაადიდეს პირველხარისხოვანი მადნის დამზადება, შეამცირეს თვითღირებულება, დაზოგეს სამაგრი მასალა და მილიონობით მანეთი ეკონომია მისცეს სახელმწიფოს.

ახალი წარმატებით დაამთავრა სამეურნეო წელი ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობამ. დონბასელ მეშახტეებთან შეჯიბრებაში ტყვარჩელელმა და ტყიბულელმა მეშახტეებმა მამაცური შრომის ნიმუშები გამოავლინეს. მათ უზრუნველყვეს წლიური გეგმის ვადამდე შესრულება, წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაადიდეს ქვანახშირის მოპოვება და მრავალი ეშელონი ზეგეგმითი სათბობი მიაწოდეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას.

მაღალნაყოფიერი შრომით შარშან თავი ისახელეს ზესტაფონელმა მეტალურგებმა და ქუთაისელმა მეავტომობილეებმა, თბილისელმა დაზგათმშენებლებმა და ბათუმელმა ნავთობგადამამუშავებლებმა.

რესპუბლიკის მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების სისტემაში გაერთიანებულმა საწარმოებმა მრავალი ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს გეგმის გადამეტებით, ამასთანავე გააფართოვეს ასორტიმენტი და გაუმჯობესეს ხარისხი.

ამ წარმატებათა მოპოვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალისტური შეჯიბრების ახალი მეთოდების დანერგვამ. ასობით ბრიგადა და ათასობით სტახანოველი გამოეხმაურა მოსკოველი და ლიუბლინოელი ნოვატორების მ. ლევჩენკოს, გ. მუხანოვის, ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას პატრიოტულ თაოსნობას — თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისა და თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებისათვის შეჯიბრების გაჩაღებას.

ახალ სამეურნეო წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე გაცილებით უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. შემდგომ უნდა განვავითაროთ ჩვენი მრეწველობა, მთელი სოციალისტური სახალხო მეურნეობა. ამისათვის აუცილებელია სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე ვიმუშაოთ რიტმულად, მაღალნაყოფიერად, საწარმოო დავალებანი შევასრულოთ ყოველდღიურად, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების ხელშეკრულებებში მკაფიო გამოხატულება უნდა ჰპოვოს იმ ცვლილებებმა, რომლებიც ჩვენს მრეწველობაში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე მათი ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით.

პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების შრომითს აქტივობას, წარმართონ ეს აქტივობა საწარმოო გეგმების არა მარტო რაოდენობრივი შესრულებისაკენ, არამედ პირველ რიგში ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრად გაუმჯობესებისაკენ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ „სახელმწიფოს ესაჭიროება გეგმის არა ყოველგვარი შესრულება და გადაჭარბებით შესრულება, არამედ მხოლოდ ისეთი შესრულება, რომელიც სახალხო მეურნეობას უზრუნველყოფს მისთვის საჭირო პროდუქციით“. (ლ. ბერია).

ამ მიმართულებით ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოს შარშან როდი ჰქონდა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი ყოველთვის როდი უპასუხებდა საბჭოთა მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებას. ნარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაცია.

საჭიროა სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მივიღოთ გადამჭრელი ზომები პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, საფაბრიკო მარკის დაცვისათვის. ჩვენს მრეწველობას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ყველა შესაძლებლობა მოეპოვება. სამრეწველო საწარმოები სრულყოფილი საბჭოთა ტექნიკით, მაღალნაყოფიერი დაზგა-დანადგარებით არიან აღჭურვილნი, ჩვენი ნედლეული მაღალხარისხოვანია, გვყავს საბჭოთა ტექნიკას დაუფლებული მაღალკვალიფიციური მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრები. ყოველივე ეს ქმნის პირობებს პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდებისათვის. მაგრამ ამ ხელსაყრელ პირობებს ყველა საწარმოში როდი იყენებენ.

ამიტომ აუცილებელია აქედანვე გავაჩაღოთ ბრძოლა საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის და ამ მიმართულებით ფართოდ გამოვიყენოთ კრასნოხოლმის საფეიქრო კომბინატის ნოვატორის ა. ჩუტკინის მუშაობის მეთოდი. გავამრავლოთ საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლი ბრიგადები. მკვეთრად გავაუმჯობესოთ ტექნიკური კონტროლის განყოფილებების მუშაობა. ავამაღლოთ წარმოების კულტურა. მოწინავეთა წყებაში ჩავაყენოთ თვითეული საწარმო.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ განვლილი სამეურნეო წელი სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა. ეჭვი არ არის, რომ ახალ სამეურნეო წელს ჩვენი მრეწველობის მუშათა კოლექტივები უფრო გაამრავლებენ წარმატებებს, მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს, შემდგომ განამტკიცებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალასა და ძლიერებას.

ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის დღეს მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, ლენინის ერთგულ მოწაფესა და ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს.

მთელ თქვენს შეგნებულ ცხოვრებას თქვენ ახმართ ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

თქვენ, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, თქვენი მოღვაწეობით იძლევით ხალხისადმი სამსახურის შთამაგონებელ მაგალითს, ღირსეულად ასრულებთ რა კომუნისტური პარტიის მიერ თქვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

ასრულებდით რა უაღრესად პასუხსაგებ დავალებებს პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველა პოსტზე, თქვენ, როგორც ჩვენი დიდი მასწავლებლების ლენინისა და სტალინის მტკიცე მიმდევარი, თქვენთვის ჩვეული ენერგიითა და სიმამაცით სჭედავდით დიდ სამამულო ომში ჩვენი სამშობლოს გამარჯვებას კაცობრიობის მტრებზე.

გისურვებთ, ჩვენო მეგობარო და ამხანაგო, ძვირფასო გიორგი მაქსიმილიანეს-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. მ. მალენკოვის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მალენკოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1952 წლის 7 იანვარი.

მაღალნაყოფიერად ვიმუშაოთ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე

★ ★

მეელმავლეებმა გაღიდებული ვალდებულებანი იკისრეს

ახალ სამეურნეო წელს თბილისის სალოკომავლო დეპოს კოლექტივი მომზადებული შეხვდა. იანვრის პირველი რიცხვებიდანვე საამქროებში გაჩაღდა მაღალნაყოფიერი მუშაობა ელმავლებისა და მოტორვაგონების სექციების სათადარიგო მოწყობილობის შესაკეთებლად და სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად. მოწინავე ელექტროზეინკალმა პ. ცაცანაშვილმა იანვრის პირველი დღეების დავალება 452 პროცენტით გაანაღდა. აკუმულატორების შემკეთებელი მ. ჭანკოტაძე და ხარატი ი. პოპოვი ყოველდღე სამ-სამ ნორმას ასრულებენ, მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ აგრეთვე სტახანოველი მჭედელი გ. ცვეტოვი და ხარატი კ. გვენცაძე. ისინი მუშაობენ ცნობილი ხარატების ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას მეთოდით და თვითეულ საწარმოო ოპერაციას მხოლოდ საუკეთესო ხარისხით ასრულებენ.

შემკეთებელ მუშებს წარმატებით ეჯიბრებიან მემანქანეები. მარტო იანვრის პირველ 4 დღეში მოწინავე მემანქანეებმა მძიმე წონის 16 მატარებელი წაიყვანეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდეს. განსაკუთრებით ისახელეს თავი უფროსმა მემანქანემ კომკავშირელმა ო. ლიკლიკაძემ, მემანქანეებმა გ. ბოგვერაძემ, გ. ლიკლიკაძემ, უფროსმა მემანქანემ გ. ჩახუნაშვილმა და სხვებმა.

ამჟამად დეპოში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავისათვის ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად. დეპოელებმა იკისრეს ნორმასთან შედარებით 1,5 კილომეტრით გადიდონ ელმავლების ტექნიკური სიჩქარე, 40 პროცენტით შეამცირონ „ავადმყოფი“ ელმავლების რიცხვი, 2 თვეში გაატარონ მრავალი ათეული მძიმე წონის მატარებელი, ერთი ელმავალი შეაკეთონ ჩქაროსნული მეთოდით და ამ ელმავლის შეკეთების ხარჯები საგრძნობლად შეამცირონ, შეკეთების ახალი ტექნოლოგიის შემოღებასთან დაკავშირებით მოაწყონ გორგოლაჭებიანი საკისარების შემკეთებელი და მოსაქრომავი საამქროები.

ბრალიციული შეჯიბრება გრძელდება

ჭიათურა. (საკ. კორ.). დაიწყო ახალი სამეურნეო წელი. მარგანეცის ტრესტმა იანვრის პირველ ხუთდღიურში მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დავალებები შეასრულეს აგრეთვე ლენინის, დიმიტროვის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებმა, მაგრამ იანვრის პირველ დღეებში გეგმები ვერ შეასრულეს ქაგანოვიჩისა და ბერიას სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

წელს ახალი ძალით ჩაღდება ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება ნიკოპოლელ და ჭიათურელ მაღაროელებს შორის. ჭიათურაში საახალწლოდ ნიკოპოლიდან მეგობრული წერილი მიიღეს. ჭიათურელებმა საპასუხო წერილი გაუგზავნეს ნიკოპოლელ ამხანაგებს.

ჭიათურელ მაღაროელთა ღირსების საქმეა მარგანეცის დამზადების გეგმები შეასრულონ სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე და მიაღწიონ ახალ წარმატებებს მოძმე უკრაინელ მაღაროელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მუშაობა ორგანიზებულად დაიწყეს

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის გემშემკეთებელ ქარხანაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისში განახორციელეს საამქროთა რეორგანიზაცია, რაც უზრუნველყოფს წარმოების ყველა შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

მაღალნაყოფიერად იმუშავეს ბათუმელმა გემშემკეთებლებმა ახალი წლის პირველ სამუშაო დღეს—2 იანვარს. ამ დღეს ქარხნის კოლექტივი შეუდგა ახალი პროდუქციის — კომფორტული საკურორტო თბომავლების პირველი ნაწილების დამზადებას.

ამწყობ საამქროში 2 იანვარს ორთქლის ხუთი მანქანა გამოსცადეს. ეს მანქანები დეკემბერში დამზადებულია იანვრის დავალების ანგარიშში. საამქროს კოლექტივი 10 იანვრისათვის გაანაღდებს ორთქლის მანქანების გამოშვების თვიურ დავალებას.

სერიოზული ამოცანები დგას წელს ბათუმელი გემშემკეთებლების წინაშე. ქარხნის კოლექტივი წინასწარ მოემზადა ამ ამოცანების განხორციელებისათვის. მომარაგებულია ახალი წლის პირველ თვეებში ქარხნის შეუფერხებელი მუშაობისათვის საჭირო ნედლეული და მასალები.

ქსოვილის ხარისხს აუმჯობესებენ

— ახალი სამეურნეო წელი პროდუქციის ხარისხის ამაღლების ნიშნით წარვმართოთ! — ამ მოწოდებით დაიწყო 1952 წელს მუშაობა თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა. ფაბრიკაში ხორციელდება მრავალი ახალი ღონისძიება პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადიდებისათვის.

შარშან ფაბრიკის საწარმოო ფართობს შეემატა სამღებრო-გამომყვანი საამქროს ახალი კორპუსი, რომელიც თებერვლის ბოლოს დაიწყებს მუშაობას. ახალი საამქროს შემატება დიდად აამაღლებს პროდუქციის ხარისხს.

მიმდინარე სამეურნეო წელი მოსამზადებელ და საქსოვ საამქროებში ახალი სახის პროდუქციის — ხელოვნური კრეპჟორჟეტისა და ზოლიანი ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილების გამოშვებისათვის მზადებით დაიწყო. წარმოებს ქსოვილების წინასწარი ლაბორატორიული ანალიზი და დამუშავება, ამზადებენ ქსელსა და მისაქსელს.

იანვრის პირველ დღეებში დაწინაურდა მოსამზადებელი საამქროს კოლექტივი (უფროსი ი. გიორგობიანი). საამქროს მუშები მაღალხარისხოვან ქსელსა და მისაქსელს ამზადებენ და ყოველდღიურ დავალებებს 30-32 პროცენტით აჭარბებენ. სახვევი განყოფილება, რომელიც ქსელებისათვის ნედლეულს ამზადებს, ყველაზე შრომატევადია მოსამზადებელ საამქროში. ამ განყოფილების კოლექტივმა საგრძნობლად გადააჭარბა დღიურ ნორმებს. ასევე წარმატებით დაიწყო მუშაობა სამსარე განყოფილებამ, რომელიც ნაგრეხ აბრეშუმს და მისაქსელს უმზადებს საქსოვ საამქროს. მთლიანად პირველხარისხოვან ქსელს ამზადებენ მქსელავები ნინო ბარათაშვილი, ქეთი ნათელაშვილი, ლიდა ოპაროვა და მარო გოქსაძე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთორმეტე და ოცდამეცამეტე ტომები უკრაინულ ენაზე

კიევი. (საკადესი). უკრაინის სსრ პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ უკრაინულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეთორმეტე და ოცდამეცამეტე ტომები.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცამეტე ტომი უნგრულ ენაზე

ბუდაპეშტი, 5 იანვარი. (საკადესი). უნგრეთის მშრომელთა პარტიის გამომცემლობა „სიკრჯმ“ უნგრულ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-13 ტომი. გამოცემის ტირაჟი 100 ათასი ცალი.

ლ. ბ. ბერიას

ბ. ბ. ბერიას

ბ. ბ. ბერიას

ბ

პ ა რ ტ ი უ ღ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ყური დავუგდოთ კომუნისტების კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს

კომუნისტების კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელებისადმი გულისხმიერ, პრინციპულ დამოკიდებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაში. ამ წერილში ჩვენ გვინდა ვიჩვენოთ პარტიის წულუკიძის რაიკომისა და რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ამ დარგში.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. 1950 წლის ოქტომბერში შედგა წულუკიძის რაიონული პარტიული კონფერენცია. დელეგატებმა გაბედულად ამხილეს რაიონის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კომუნისტების კრიტიკულმა შენიშვნებმა და წინადადებებმა გამოხატულება ჰპოვა პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებით, რომლის განხორციელება მნიშვნელოვნად დაეხმარა პარტიის რაიკომს მუშაობის გაუმჯობესებაში. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე ცალკეული ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებათა მხილებით გამოვიდნენ არა მარტო რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, არამედ რიგითი კომუნისტებიც. ამ მხრივ საყურადღებო იყო წულუკიძის სახელობის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილის ამხ. ვერა აფხაზავას გამოსვლა. მან გააკრიტიკა ფაბრიკის ადმინისტრაცია მუშათა საერთო საცხოვრებლების მოუწყობლობისათვის, რაიკოოპკავშირი—მუშათა სასადილოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის, ხოლო პარტიის რაიკომი იმის გამო, რომ იგი სათანადოდ არ უწევდა კონტროლს ფაბრიკაში კულტურულ-მასობრივ მუშაობას, პარტიის რაიკომმა, რაიკოოპკავშირმა და ფაბრიკის ადმინისტრაციამ გაითვალისწინეს ამხ. აფხაზავას კრიტიკული შენიშვნები და სათანადო ღონისძიებათა განხორციელებით გამოასწორეს ნაკლოვანებანი. მუშათა საერთო საცხოვრებლები უზრუნველყოფილ იქნა თეთრეულითა და ინვენტარით, გაუმჯობესდა სასადილოს მუშაობა, ფაბრიკის ადმინისტრაციამ სასადილოსათვის ახალი კაპიტალური შენობა ააგო. მუშა-მოსამსახურეთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად მოეწყო წითელი კუთხე, სადაც სისტემატურად იმართება ლექცია-მოხსენებები საბჭოთა ხალხის მიერ კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებზე, საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

1950 წლის თებერვალში რაიკომის პლენუმმა კოლმეურნეობებში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი განიხილა. პლენუმზე მხილებულ იქნა ცალკეულ კოლმეურნეობათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ამ საქმეში. სოფელ დედალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. იმედაძემ აღნიშნა კოლმეურნეობის გამგეობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, პლენუმის წევრმა ამხ. გ. ციბაძემ გააკრიტიკა სოფელ კუხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენებისა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულებისათვის და კოლმეურნეობის გამგეობა — საგაზაფხულო სამუშაოებისადმი არაკონკრეტული ხელმძღვანელობისათვის.

პარტიის რაიკომს ეს კრიტიკული შენიშვნები უყურადღებოდ არ დაუტოვებია. აღნიშნულ კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად გაემგზავრნენ რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები. სოფელ დედალაურის ბერიას და კუხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში ჩადგნენ. მაგალითად, სოფელ კუხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1951 წელს 318 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4,5 ცენტნერით მეტი სიმინდი მოიყვანეს, ვიდრე 1950 წელს, ხოლო სახელმწიფოს 57.159 კილოგრამით მეტი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარეს. ამასთან გადაჭარბებით შეასრულეს პირუტყვის სულადობის, პროდუქტიულობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წლიური გეგმები.

პარტიის წულუკიძის რაიკომში გულისხმიერად ეკიდებიან კომუნისტების კრიტიკულ შენიშვნებს, სწავლობენ თვითეულ მათგანს, შედეგებს იხილავენ რაიკომის ბიუროს სხდომებზე და სახავენ ღონისძიებებს გამომძღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სოფელ ნახახულევის ძნელაძის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველ წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავალს იღებდნენ, მოუწესრიგებელი იყო შრომა და ანგარიშწარმოება, არ სრულდებოდა პირუტყვის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის დაწესებული გეგმები, მეფრინველეობის ფერმას 250-მდე ფრთა ფრინველი დააკლდა, იყო საკოლმეურნეო ქონების განიავების შემთხვევები. კოლმეურნეობის გამგეობა და მისი თავმჯდომარე დ. ჩიხლაძე მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარ ზომებს არ იღებდნენ. უფრო მეტიც, ჩიხლაძემ კოლმეურნეობის სალაროდან უკანონოდ მიიღო 11.076 მანეთი.

ამ კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ პარტიის რაიკომს სიგნალი მისცა ამავე სოფლის სკოლის მასწავლებელმა კომუნისტმა ბ. ქაშიბაძემ. კომუნისტ ქაშიბაძის სიგნალის შესწავლა დაევალა პარტიის რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგეს ამხ. კ. ჭავჭანიძეს. ფაქტები მთლიანად დადასტურდა. შედეგები რაიკომის ბიუროს სხდომაზე განხილეს. რაიკომის რჩევით დ. ჩიხლაძე მოიხსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან და მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

კომუნისტების კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების საქმეში ნაყოფიერად მუშაობენ წულუკიძის სახელობის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის, ჩაის ფაბრიკის, სოფელ გუბის სტალინის, კონტუათის, ცხაკაიას, ქალაქის წულუკიძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ამხ. გ. მელქაძე) მუშაობა. აქ კომუნისტების ვ. ჭავჭანიძის, ვ. აფხაზავას, გ. რუხაძისა და სხვათა სიგნალების მიხედვით აღძრული საკითხების შემოწმების შედეგებმა ცოტა სარგებლობა როდი მოუტანა ფაბრიკას, ხოლო თვით პარტიული ორგანიზაციის მუშაობა უფრო შემოქმედებითი გახადეს.

ფაბრიკის საგრეხ საამქროში მომუშავე კომუნისტმა გ. რუხაძემ პარტბიუროში შეიტანა სიგნალი საამქროში მუშათა დენადობისა და პროდუქციის ხარისხის გაუარესების შესახებ. პარტბიუროს გადასამით შეისწავლა კომუნისტ რუხაძის სიგნალი. შემოწმებით დადასტურდა, რომ საამქროში მართლაც იყო მუშების დენადობა, ძაფის საგრეხი რამდენიმე მანქანა შეუკეთებელი იყო, საგრეხი მანქანების ამძრავი ტყავის ღვედები უვარგისობის გამო ხშირად წყდებოდა, დაბალი იყო შრომის დისციპლინა, საგრეხი მანქანების ერთ ნაწილს უვარგისი თითისტარი ჰქონდა და სხვ. ყველა ამის გამო პროდუქციის ხარისხი დაბალი იყო. პროდუქციის ხარისხის გაუარესების შედეგად საამქროს ფაბრიკას 54.852 მანეთი აზარალა. შემოწმების შედეგები პარტიულ კრებაზე განიხილეს და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიება დასახეს. კომუნისტების საქმიანმა წინადადებებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ფაბრიკის ადმინისტრაციას. საამქროს მუშაობა მოკლე დროში გაუმჯობესდა. ახლა საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო რაოდენობიდან 87-93,7 პროცენტი პირველი და მეორე ხარისხისაა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თითქოს რაიონში ადგილი არ ჰქონდეს ნაკლოვანებას კომუნისტების კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებებისადმი დამოკიდებულების მხრივ.

რაიკომში ჯერ კიდევ სისტემატურად არ ამოწმებენ იმ წინადადებათა შესრულებას, რომლებიც კომუნისტებმა პარტიულ კრებებსა და პლენუმებზე წამოაყენეს. მაგალითად, 1950 წლის აგვისტოში რაიკომის მორიგ პლენუმზე ქალაქის კეთილმოწყობის საკითხი განიხილეს. პლენუმის წევრმა ამხ. გ. მელქაძემ და სხვებმა ბევრი საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით. ეს წინადადებანი დადგენილებაშიც გაითვალისწინეს, მაგრამ შესრულება არ შეუმოწმებიათ. პლენუმის გადაწყვეტილების მიხედვით 1 ოქტომბრამდე ჯუღაშვილის ქუჩაზე უნდა მოეწყოთ სკვერი, ხოლო 10 ოქტომბრამდე დაემთავრებინათ წულუკიძისა და მახარაძის ქუჩების კეთილმოწყობა, მაგრამ მისი შესრულებისათვის შემდეგ აღარ უზრუნიათ.

მეორე მაგალითი. 1950 წლის ივნისში სოფელ წითელი ვარსკვლავის კანგაფოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ კომუნისტმა დ. კაკაურიძემ პარტიის რაიკომს წერილობით აცნობა კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობისა და საკოლმეურნეო წესდების ზოგიერთი დარღვევის შესახებ. ამხ. კაკაურიძის წერილი რაიკომის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების გამგეს ამხ. ჭავჭანიძეს გადაეცა შესამოწმებლად. მაგრამ რატომღაც კაკაურიძის მოხსენებითი ბარათი მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ. შემდეგში, თუმცა რაიკომის ბიურომ ამ. კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ შესული წერილის შემოწმების საფუძველზე იმსჯელა, დ. კაკაურიძე, რომელმაც პარტიის რაიკომს ორჯერ მისცა სიგნალი კოლმეურნეობაში არსებულ დარღვევათა შესახებ, „სარევიზიო კომისიის მუშაობის ჩაშლისათვის“ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობიდან მოხსნეს (!)

უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტთა სიგნალებისა და შენიშვნებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ამოცანაა, პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ვ. კოკალეიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ხუთი მილიონი მანეთი ნამსახურობისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები უმწიკვლო მუშაობისა და ნამსახურობისათვის ყოველწლიურად დიდ თანხას იღებენ სახელმწიფოსაგან. მარტო 1951 წლის ანგარიშში მაღაროელები მიიღებენ ხუთ მილიონ მანეთს.

ცნობილი სტახანოველები—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პლ. ბოყოველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტრ. ფოფხაძე, ორდენოსნები — პ. მირონტაძე, კ. ღავთაძე, ს. ოთინაშვილი და მრავალი სხვა ნამსახურობისათვის 3.000-4.000 მანეთს მიიღებენ. თანხების გაცემა უკვე დაიწყო.

ახალი ეთერზეთოვანი კულტურები საქართველოში

წელს საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში განზრახულია ორი ჩვენში ჯერ უცნობი ეთერზეთოვანი კულტურის დანერგვა და მოშენება. ერთი მათგანის სახელწოდებაა პაჩული. ეს კულტურა ახლახან არის შემოტანილი კუნძულ იავიდან.

პაჩულის კულტურა წელს საქართველოში უნდა გაშენდეს 25 ჰექტარ ფართობზე.

მიმდინარე წელს საქართველოს ეთერზეთის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობებში გააშენოს მეტად ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურა — ლიმონის ევკალიპტი. საინერგე მასალა ამჟამად შენახულია სათბურებში. ლიმონის ევკალიპტი წელს 5 ჰექტარზე უნდა გაშენდეს.

პაჩული და ლიმონის ევკალიპტი იძლევა საუკეთესო ხარისხის ეთეროვან ზეთს, რაც ძალიან ესაჭიროება პარფიუმერიულ მრეწველობას.

აგრეთვე გადაწყვეტილია წელს გალის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობაში გააშენონ ტუბეროზა, რომელიც აგრეთვე ძვირფას ეთეროვან ზეთს იძლევა.

სამეცნიერო სესია ლენინგორში

ლენინგორი. (საკ. კორ.). სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის და ქართულ და ოსურ ენათა კათედრებმა ამ დღეებში ლენინგორის რაიონში მოაწყეს გამსვლელი სამეცნიერო სესია.

სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ტ. სარიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები შ. გაფრინდაშვილი და დოცენტი ა. ღლონტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი პ. ვადაჭკორია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. მეგრელიძე და სხვ.

სესიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლენინგორის რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. მათ აღნიშნეს, რომ გამსვლელი სესია დიდ სამსახურს გაუწევს მათ, როგორც პედაგოგებს, პრაქტიკულ მუშაობაში.

პავარა ლიახვი ელექტროენერგიის მიმართულებით

ორ წელიწადნახევარზე მეტი ხნის წინათ მდინარე პატარა ლიახვის ხეობაში დაიწყო ვანათის სარწყავი არხის მშენებლობა. არხის მთელ რიგ უბანზე მშენებლებმა უკვე დაამთავრეს ნაგებობათა აშენება.

არხის მშენებელთა კოლექტივს დიდ დახმარებას უწევდნენ მშენებლობაზე მასობრივად გამოსული კოლმეურნეები. ამ დღეებში ვანათის არხის ტრასზე სამუშაოდ გამოვიდა სტალინირისა და ზნაურის რაიონების ასობით კოლმეურნე. პატარა ლიახვის ხეობაში მიმავალ გზაზე კვლავ დიდი მოძრაობა გაჩაღდა. კოლმეურნენი ქვეითად თუ ავტომანქანებით, ჯგუფ-ჯგუფად მიიჩქაროდნენ სოფელ ვანათისაკენ.

ასამდე კოლმეურნე გამოვიდა არხის მშენებლობაზე სტალინირის რაიონის სოფელ არგვიციდან. მათ მუშაობა მოუხდათ მშობლიური სოფლის მახლობლად. იმაზე ფიქრი, რომ მალე მდინარე პატარა ლიახვის ტალღების ხმას თავიანთ სოფელში გაიგონებენ, განსაკუთრებით აღფრთოვანებდა მშენებლობაზე გამოსულთ.

ძნელი უბანი შეხვდათ სამუშაოდ არგვიცელებს. ხუთასი კუბმეტრი მიწა უნდა ამოეღოთ 6-8 მეტრის სიღრმიდან. მაგრამ კოლმეურნეები შეუპოვრად მუშაობდნენ დავალების შესასრულებლად. მოწინავეთა რიგებში იყვნენ უხვი მოსავლისათვის მებრძოლნი: შალვა ტურაშვილი, ნესტორ რომელაშვილი, ანდრო ტურაშვილი. ამ მარჯვე ადამიანების შრომითი ენთუზიაზმი სხვებსაც გადაედო. შეწყობილად შრომობდნენ არგვიცელები. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოწინავე კოლმეურნე ვაჟკაცებს არ ჩამორჩებოდნენ არგვიცელი ქალები პეპელა რომელაშვილი, გალინა ტურაშვილი, ელისო ღამბაშიძე.

არგვიცელებმა ნაკისრი ვალდებულება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს.

ორგანიზებულად გამოვიდნენ მშენებლობაზე სოფელ გრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. გრომელებმა დაწესებულ ვადაზე ადრე შეასრულეს დავალება, ამოიღეს 250 კუბმეტრი მიწა. მიწის სამუშაოების შესრულების შემდეგ გრომელებმა დაიწყეს ბეტონის ჩაწყობა.

— შინ არ წავალთ, ვიდრე 70 კუბმეტრ ბეტონს არ ჩავაწყობთ!—თქვეს მათ და დაპირება, წარმატებით გაანალდეს.

მიწისა და რკინა-ბეტონის სამუშაოების შესასრულებლად ასი კოლმეურნე გამოვიდა სოფელ ერედვიდან.

— ჩვენ ყველაზე მეტი წვლილის შეტანა გვმართებს არხის მშენებლობაში, — აცხადებდნენ ისინი. — ცხრასი ჰექტარი ფართობი უნდა მოოთრწყას ამ არხმა ერედველ კოლმეურნეებს.

ამიტომაც ერედველები განსაკუთრებული ენერგიით მუშაობენ. სოფლის საუკეთესო ვაჟკაცთა გვერდით მუშაობდნენ ქალიშვილები ციალა ტარიელაშვილი და ოლღა ჟღენიაშვილი. არხის მშენებლობის დაწყებიდან სასახელოდ მუშაობს ერედველი მოხუცი, სახელოვანი მებეტონე სულიკო მაისურაძე.

სტალინირის რაიონის კოლმეურნეებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ზნაურელმა კოლმეურნეებმა. მრავალი ასი რჩეული ვაჟკაცი გამოგზავნეს არხის მშენებლობაზე. სოფელ ავნევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან მოსულებმა 7 დღის სამუშაო 4 დღეში შეასრულეს, მათ შორის ყველაზე მეტად ისახელა თავი სამსონ თხელიძემ, ანტონ დურგლიშვილმა და ქიტე ჯავახიშვილმა.

ზნაურის რაიონის სოფელ ფრინვიდან არხის სამუშაოზე 52 კოლმეურნე მოვიდა. მათ ვადაზე ბევრად ადრე გაანალდეს დავალება და გეგმის გადამეტებით ათობით კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს. მთელ მშენებლობაზე გაითქვა სახელი მუგუთელმა კოლმეურნემ გაბე გაბარაევმა, რომელიც ყოველდღე სამ ნორმას ასრულებდა.

სახალხო მშენებლობაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნულელები და მუგუთელები, სნეკველები და ქსუისელები, ვანათელები და ოტრეველები, ათობით სოფლის ასობით კოლმეურნე. ახლა მშენებლობის გადამწყვეტ უბნებად რჩება სამუშაოები სოფელ ვანათის მახლობლად.

არხის მშენებლებს შრომას უმსუბუქებს სამანქანო ტექნიკა, ექსკავატორები. აღსანიშნავია სახელმოხვეჭილი მეექსკავატორის უკრაინელ ანატოლი ბრილის თავდადებული შრომა.

— ომის წლებში, — ამბობს იგი, — ამ ხეობაში აღზრდილი ბევრი ვაჟკაცი სისხლსა ღვრიდა ფაშისტ მტაცვალთაგან ჩემი მშობლიური უკრაინის მიწა-წყლის გასათავისუფლებლად, და მე აქ ჩემს შრომასა და ენერგიას როგორ დავიშურებ.

მალე ძველ კალაპოტს დატოვებს პატარა ლიახვის წყალი, გაივლის საიმედოდ აგებულ აკვედუკებში, გალერიებში, დიუკერებში და სტალინირელ კოლმეურნეთა სამსახურში ჩადგება. ახლოვდება პატარა ლიახვის ხეობაში ზეიმის დღე, მშვიდობიანი შრომის მორიგი გამარჯვების დღე.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კინოთეატრის მშენებლობას აჭიანურებენ

ხობის რაიონულ ცენტრში 1950 წელს დაიწყო კინოთეატრის კაპიტალური შენობის აგება, რაც იმავე წელს უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა ამ საქმეს რატომღაც უდარდელად მოეკიდა. მშენებლობა არ უზრუნველყოფენ საჭირო მასალითა და მუშახელით; ამასობაში სანახევროდ ამოყვანილი, ისედაც უხარისხოდ აშენებული აგურის კედლები წვიმის, ყინვისა და სინესტისაგან საგრძნობლად დაზიანდა, ბევრგან გაიბზარა და დაირღვა.

1951 წელი ისე გავიდა, რომ შენობა გადახურულიც არ არის. მშენებლობას ახლა ხე-ტყის მასალის უქონლობა აბრკოლებს. რაისაბჭოს აღმასკომი და კომუნალური მეურნეობის განყოფილება „საქმეებით გადატვირთვას“, მოუცლელობას იმიზეზებენ, 260 ათას მანეთად ღირებული მშენებლობა კი მუშაობის უმნიშვნელო უბნად მიაჩნიათ.

ხობის კინოთეატრის მშენებლობა სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს, ხოლო საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვოთ.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

აქტიურად დავუჭიროთ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს

საბჭოთა ხალხი, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა განუწყვეტლივ მიდის წინ მძლავრი აღმავლობის გზით. ახალი, 1952 წელი საბჭოთა ადამიანებმა დაიწყეს მტკიცე რწმენით თავიანთი ძალებისადმი, ურყევი გადაწყვეტილებით — კიდევ მეტ წარმატებებს მიაღწიონ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

კომუნიზმის უძლეველი ძალების უდიდესი წყაროა ხალხის მასების ძლიერი აქტივობა და დაუშრეტელი შემოქმედებითი ინიციატივა. ამით გამოიხატება ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უდიდესი უპირატესობანი, განმასხვავებელი თავისებურება საბჭოთა საზოგადოებისა, სადაც საწარმოო ურთიერთობა ემყარება არა ექსპლოატაციისა და კონკურენციის პრინციპებს, არამედ შემოქმედებითი თანამეგობრობისა და სოციალისტური შეჯიბრების პრინციპებს.

საბჭოთა წყობილების პირობებში გიგანტური მნიშვნელობა მიენიჭა დადებითი მაგალითის ძალას, მოწინავე გამოცდილების ძალას. ვ. ი. ლენინი 1918 წელს წერდა: „მაგალითის ძალას, **რომელიც თავს ვერ იჩენდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება საზოგადოებაში, რომელმაც მიწისა და ფაბრიკების კერძო საკუთრება გააუქმა...**“

მთელი ჩვენი ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების მთელი შრომითი მოღვაწეობა ბრწყინვალედ ადასტურებს ლენინის ამ სიტყვებს, მის გენიალურ განჭვრეტას; სოციალისტური ეკონომიკის გეგმიანი ხასიათი, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მატერიალური და მორალური ძალების ერთიანობა — ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს ნამდვილად მასობრივი, სახელმწიფოებრივი მასშტაბით მოვაწყოთ მოწინავე გამოცდილების გავრცელება.

ამხანაგი სტალინი ჩვენს კადრებს ასწავლის ორიენტაცია აიღონ ახალზე, იმაზე, რაც ვითარდება, მუდამ იყურონ წინ. ბოლშევიკური პარტია ყოველი ღონისძიებით უჭერს მხარს ყოველივე მოწინავეს, ამრავლებს და ავრცელებს ახალ, პროგრესულ თაოსნობას, აღაფრთოვანებს და რაზმავს ჩვენს ხალხს შრომითი გმირობისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად. საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენერგია თავის გამოხატულებას პოულობს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

„...შეჯიბრება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **არის სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი** მშრომელთა მილიონიანი მასების **მაქსიმალური აქტივობის საფუძველზე**“.

ჩვენი სამშობლოს თვითეული შრომითი დღე აღინიშნება სოციალისტური შეჯიბრების ახალი წარმატებებით, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი მუშაობის შესანიშნავი მიღწევებით. პარტიული ორგანიზაციები დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან შეჯიბრების მასობრივი გაჩაღებისათვის, წარმოების მოწინავეთა გამოცდილების დანერგვისათვის. სულ უფრო და უფრო მრავლდებიან ბრიგადები, უბნები, საამქროები, ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც კოლექტიურ სტახანოვურ მუშაობაზე გადავიდნენ.

სახალხო მეურნეობის ზრდასთან, მუშათა და კოლმეურნეთა კულტურულ-ტექნიკური დონის აღმავლობასთან ერთად უფრო მაღალ საფეხურზე ადის სოციალისტური შეჯიბრება. ამ უკანასკნელ ხანს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა ინიციატორებად გამოვიდნენ.

ლიუბლინოს ქარხნის სტახანოველებმა ანტონინა ჟანდაროვამ და ოლღა ავაფონოვამ საფუძველი ჩაუყარეს თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო შესრულებისათვის მოძრაობას. მოსკოვის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ მუშები მარიამ ლევჩენკო და გრიგოლ მუხანოვი თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის შეჯიბრების ინიციატორები არიან. სვერდლოვსკელი მანქანათმშენებლები უკვე ფართოდ უზრუნველყოფენ წარმოებაში სტახანოვური გამოცდილების კომპლექსურ დანერგვას. კრასნოიარის მხარის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ივანე ბუნეევის თაოსნობით შარშან სოფლის მეურნეობაში დაიწყო მოძრაობა მინდვრის სამუშაოთა საუკეთესო ხარისხისათვის, ტრაქტორის მაღალი გამომუშავებისათვის, მანქანების სოციალისტური მოვლა - შენახვისათვის. ამას წინათ სატრაქტორო ბრიგადების მოწინავე ბრიგადირებმა მტს-ების ყველა მუშაკს მოუწოდეს მოაწყონ შეჯიბრება საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

წარმოების ახლანდელ ნოვატორებს ახასიათებს მრავალმხრივი ტექნიკური მომზადება და ფართო კულტურული ჰორიზონტი. ხალხის ინიციატივა ახლა მიმართულია მუშაობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებისაკენ.

შეჯიბრების განვითარებაში, მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში წარმატებანი უდავოა. მაგრამ სწორი არ იქნება არ დავინახოთ სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები. ფაქტები მოწმობენ, რომ მთელ რიგ ადგილებში ფორმალურად ეკიდებიან წარმოების ნოვატორთა გამოცდილების დანერგვას.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პარტიული კომიტეტი მოიწონებს ნოვატორის თაოსნობას, მიიღებს კარგ გადაწყვეტილებას, შემდეგ კი დაივიწყებს მას და დიდძნიშვნელოვან საქმეს თვითდინებას მიანდობს. ზოგან ჯერ კიდევ კამპანიურად უდგებიან შეჯიბრებას. ეს, კერძოდ, იმით გამოიხატება, რომ ახალი თაოსნობის მხარდაჭერისას ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკი უყურადღებოდ ტოვებს შეჯიბრების ისეთ ფორმებს, რომლებიც უკვე შემოწმებულია გამოცდილებით და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

შეჯიბრების სწორად მოწყობა მოითხოვს, რომ ყველა მუშას შეთანხმის ისეთი პირობები შეუქმნათ, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემს იმუშაოს მაქსიმალური შედეგით, განუწყვეტლივ გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. ამავე დროს კი ყველა საწარმოში როდია შექმნილი ასეთი პირობები. შარშან გაზაფხულზე ბრიანსკის ოლქის ვოროვსკის სახელობის ცემენტის ქარხანაში დაიწყო შეჯიბრება აგრეგატთა საპროექტო სიმძლავრეების გადიდებისათვის. ქარხნის საუკეთესო მემანქანეებმა ამხ. ხაბარიანმა, სავონიჩევმა, გორბაჩოვმა და სხვებმა მიაღწიეს ცემენტის მრეწველობაში ყველაზე მეტი პროდუქციის გამოშვებას. ბრიანსკელ მეცემენტეთა თაოსნობას ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოში გამოეხმაურნენ. თვით ქარხანაში კი სტახანოველებს ჯერჯერობით არ დაუჭირეს მხარი სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ახლის გრძნობა ბოლშევიკი მუშაკის ძვირფასი თვისებაა. დროზე შეინიშნოს ახალი თაოსნობა, ინიციატივა, სწორად შეაფასოს მათი მნიშვნელობა, გზა გაუკაფოს ახლის, მოწინავის ზრდას — აი რა მოეთხოვება თვითეულ ხელმძღვანელს. არ შეიძლება სწორად უხელმძღვანელო მეურნეობას, თუ ფართოდ არ დანერგე წარმოებაში მოწინავე გამოცდილება და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ამასთან საქმე ეხება წარმოების ნოვატორთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების არა მარტო უბრალო პროპაგანდას, არამედ იმასაც, რომ ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ შრომის მოწინავე ხერხებისა და მეთოდების პრაქტიკული გავრცელებისათვის.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ სოციალისტური შეჯიბრება მასების საქმიანი რევოლუციური თვითკრიტიკის გამოხატულებაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებანი უნდა გააჩაღონ შეჯიბრების ორგანიზაციისა და მოწინავე გამოცდილების გავრცელების ნაკლოვანებათა კრიტიკა, იბრძოლონ რუტინისა და უძრაობის წინააღმდეგ, ყოველივე ძველის, მომაკვდავის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას.

ყოველივე ახლის, მოწინავის, პროგრესულის დანერგვისა და ფართოდ გავრცელებისათვის ბრძოლა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

სახალხო მეურნეობის აღმავლობა, სოციალისტური კულტურის აყვავება იწვევს და კვლავაც გამოიწვევს მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის შემოქმედებითი ენერგიის, ინიციატივისა და გამომგონებლობის ახალ მოზღვავებას. მასების აქტივობისა და ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი სამშობლოს ახალ ისტორიულ გამარჯვებათა საწინდარია.

„პრავდის“ 8-I მოწინავე

ეკონომიურ თემაზე

ვიბრძოლოთ მშენებლობის ღირებულების გაიაფებისათვის

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში კაპიტალურ, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას ყოველწლიურად მრავალი მილიარდი მანეთი ხმარდება. აქედან ცხადია, თუ სახელმწიფო სახსრების დაზოგვისათვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის ღირებულების გაიაფებას.

ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მშენებლობის ღირებულება არ მცირდებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგების პროდუქციის ღირებულების შესაბამისად. დადასტურებულ იქნა, რომ მშენებლობის მაღალი ღირებულება გამოწვეული იყო მშენებლობებზე დაშვებული ზედმეტობით: საქარხნო ტერიტორიისა და კომუნიკაციის გადაჭარბებული მოცულობით, საამქროების გაბნევით, ძირითად და დამხმარე შენობათა და ნაგებობათა დაუსაბუთებლად გადიდებული მოცულობით, ტექნოლოგიური და დამხმარე მოწყობილობის არაშეფარდებითი ოდენობით, სიმძლავრეების არაეკონომიურ კონსტრუქციულ გადაწყვეტათა გამოყენებით, უსარგებლო მუშაობის დაშვებით და სხვა ორგანიზაციული უწესივრობით.

გაითვალისწინა რა ასეთი მდგომარეობა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სპეციალურ დადგენილებაში მოგვცა მშენებლობის გაიაფებისა და კაპიტალურ სამუშაოთა ეფექტიანი ამაღლების გაშლილი პროგრამა.

1951 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის მშენებლობებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა, როგორც ამას საწარმოო მონაცემები ცხადყოფენ, გარკვეული წარმატებები მოიპოვეს მშენებლობის ღირებულების გაიაფების საქმეში. მშენებლობათა და სამშენებლო ორგანიზაციების უმრავლესობამ სახარჯთაღრიცხვო ფასებთან შეფარდებით მიაღწია მშენებლობის ღირებულების გაიაფებას. ამასთან ეს გაიაფება მიღწეულია პროექტებში ზედმეტობის აღმოფხვრით და მასალებისა და სახსრების ეკონომიური გამოყენებით. წარმატებით შეასრულეს მშენებლობის გეგმები და გააიაფეს მშენებლობის ღირებულება საქართველოს ჰიდროელექტრომშენებლობის ტრესტმა, საქენერგომ, თბილისის სარკინიგზო-სატრიკოტაჟო კომბინატმა, ბარგარინის ქარხანამ, „ელექტრომონტაჟენეფტმა“, ტრესტ „კაველექტრომონტაჟის“ თბილისის საპროექტო-სამონტაჟო სამმართველომ, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი სამშენებლო სამმართველოს გორის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ და სხვა მშენებლობებმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა.

გორის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო ძირითადად საკუთარი წარმოების გზით ახორციელებს ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებას. ამან შესაძლებლობა მისცა სამმართველოს გასულ წელს მნიშვნელოვანი რაოდენობით დაეზოგა ცემენტი, რკინა, ხე-ტყის მასალა და მიეღწია მშენებლობის ღირებულების გაიაფებისათვის.

საქართველოს ჰიდროელექტრომშენებლობის ტრესტმა საკუთარი წარმოების ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებით 1951 წლის სამ კვარტალში ორ მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას მიაღწია, ამასთანავე მუშაობის რაციონალური მეთოდების გამოყენებით და სამუშაოთა წარმოების მაღალი მექანიზაციით საგრძნობი თანხები გაათავისუფლა. ტრესტის მიერ წარმოებულ სამგორის ჰიდროელსადგურების მშენებლობაზე მიწისა და კლდის სამუშაოების 98 პროცენტი მექანიზებულია. რაც შეეხება ბეტონის, რკინაბეტონის და საგვირაბო სამუშაოებს, აგრეთვე ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ტრანსპორტს, აქ მექანიზაცია 100 პროცენტს აღწევს. მსხვილი სამრეწველო მექანიზმების გამომუშავების ნორმები სრულდება ექსკავატორებზე 17 პროცენტის, ბულდოზერებზე — 10 პროცენტის, ხოლო ბეტონსარევებზე— 21 პროცენტის გადაჭარბებით.

მარტო 1951 წლის 9 თვეში ზემოაღნიშნულ მშენებლობაზე დაზოგილია 207 ტონა ცემენტი, 244 კუბმეტრი დაუხერხავი ხე-ტყე, 33 ტონა ხარისხოვანი რკინა, 6,9 ტონა ფურცლოვანი რკინა და სხვა საშენი მასალები. ყველა განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1951 წელს აღნიშნული ჰიდროელსადგურების მშენებლობის ღირებულება შემცირდა 7,9 პროცენტით და გაწეულ იქნა 3,5 მილიონ მანეთამდე ეკონომია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში აღნიშნა: „ჩვენმა მშენებლებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისა და ვადების შემოკლების საქმეში. მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა წესრიგი დამყარდეს სამშენებლო მოედნებზე სამუშაოთა ორგანიზაციაში, უფრო ნაყოფიერად იქნას გამოყენებული სამშენებლო მექანიზმები, უკეთ მოეწყოს შრომა და მკვეთრად შემცირდეს ზედნადები ხარჯები. უნდა აღმოიფხვრას ზედმეტობა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში, რაც ჯერ კიდევ არსებობს და აძვირებს მშენებლობას“.

უეჭველია, ჩვენი მშენებლები გაითვალისწინებენ ამ სახელმძღვანელო მითითებებს და ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ უფრო უკეთ მოაწყონ მშენებლობის საქმე, იხელმძღვანელებენ პრინციპით: ვაშენოთ სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად.

კარგად მომუშავე მშენებლობებსა და სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად არიან ისეთებიც, რომლებიც ზარალით მუშაობენ. ამათ რიცხვს მიეკუთვნებიან საქართველოს შამპანკომბინატი, „საქთევზი“, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის საქალაქო-სამშენებლო სამმართველო, თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, კვაისმშენი და სხვები. აღნიშნულ სამშენებლო ორგანიზაციებმა 1951 წელს მშენებლობებზე ასეულ ათასობით მანეთი იზარალეს. მშენებლობათა გაუარესების მიზეზებია საკუთარი დამუშავების მასალების სიძვირე, შორი მანძილიდან საშენი მასალების მოზიდვის მაღალი ღირებულება, მუშებისა და სამშენებლო მექანიზმების მოცდენა, ზედმეტი ზედნადები და ადმინისტრაციული ხარჯები. მასალების მაღალ ღირებულებას, რაც მშენებლობის გაძვირებას იწვევს, ვხვდებით მსუბუქი მრეწველობის მთავარი სამშენებლო სამმართველოს თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში, რომელსაც საკუთარი გადამუშავების ერთი კუბმეტრი დახერხილი ხე-ტყე უჯდება გასაცემ ფასზე 58 მანეთით მეტად. ზემოაღნიშნული მიზეზით მასალების გაძვირებამ აღნიშნულ სამმართველოში შარშან სამ კვარტალში, მიუხედავად მშენებლობის სხვა დადებითი მაჩვენებლებისა, 161 ათასი მანეთი გადახარჯვა გამოიწვია. მასალების გაძვირების გამო საგრძნობი გადახარჯვები აქვთ მეტალურგმშენის საქალაქო მშენებლობის სამმართველოს, შამპანკომბინატს, კვაისმშენს. შესრულებული სამუშაოების პროცენტული შეფარდებით ზედნადებ ხარჯებში გადახარჯვები აქვთ: თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს — 64 ათასი მანეთი, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საქალაქო მშენებლობის სამმართველოს — 516 ათასი მანეთი. ამავე სამმართველომ ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების გადიდებით დაუშვა 252 ათასი მანეთი გადახარჯვა.

აღნიშნულმა სამშენებლო ორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ თავიანთი მეურნეობის ეკონომიკა და გადამჭრელი ზომები მიიღონ მათ მიერ წარმოებულ მშენებლობებზე ზარალის ლიკვიდაციისათვის, მშენებლობის გაიაფებისა და მომდინარე წლის სამშენებლო სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

გ. მელქუმოვი

სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის უფროსი ინსპექტორი

მრავალღონისძიებანი ხარავი

ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მრავალდაზგოსანი ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. შალვა ვადაჭკორია გამომუშავების დღიურ ნორმებს სამ-ოთხმაგად ანაღდებს და ყველა სამუშაოს მაღალხარისხოვნად ასრულებს.

მოწინავეთა გამოცდილების მუშაობაში ფართოდ დანერგვით შ. ვადაჭკორიამ ომისშემდგომი ექვსი წლის განმავლობაში 24 წლის ნორმა შეასრულა და ამჟამად 1970 წლის ანგარიშში მუშაობს.

მუშაობის მაღალი კულტურა, ლითონის ჩქარაოსნული დამუშავების მეთოდების ათვისება, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, შრომაში ახლის, პროგრესულის გაბედულად დანერგვა, — აი ის ფაქტორები, რითაც შალვა ვადაჭკორიამ ასეთ შედეგებს მიაღწია.

მთელი ენერგიით დაიწყო მუშაობა სახელმოხვეჭილმა ხარატმა მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე. წელს მისი ვალდებულება სულ ცოტა 4 წლის ნორმის შესრულებას ითვალისწინებს. სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული, მაღალნაყოფიერი, თავდადებული შრომა იმის საწინდარია, რომ შ. ვადაჭკორია ამ ვალდებულებასაც პირნათლად გაანადგურებს.

დ. კაიჩაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ვადები ირღვევა, ჩაის სამუშაოთა შესრულება ჭიანურდება

ჩაის კულტურას წყალტუბოს რაიონში დიდი მომავალი აქვს. კოლმეურნეობებში უკვე გაშენებულია 1.500-მდე ჰექტარი ჩაის პლანტაცია და ბევრგან კარგ მოსავალსაც იღებენ. ჩაი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის მძლავრი წყარო გახდა.

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობათა წინაშე დასახულია ამოცანა—გააშენონ ჩაის ახალი პლანტაციები, წარმატებით შეასრულონ ზამთრის ყველა სამუშაო და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ უხვ მოსავალს.

როგორ სრულდება რაიონში ჩაის საზამთრო სამუშაოთა გეგმები?

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ მხრივ კოლმეურნეობებში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრგან სისტემატურად ირღვევა ჩაის სამუშაოთა შესრულების ვადები, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, გვიანდება პლანტაციების გაშენება, მთელ რიგ პლანტაციებში ჩაის ბუჩქებს ცუდად უვლიან, რის გამო დაბალია მოსავლიანობა.

კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში შრომის მოუწესრიგებლობისა და ამ საქმეში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უყურადღებობის გამო წარსული წლის მეოთხე კვარტალში ჩაის თითქმის არც ერთი სამუშაო დროზე არ შესრულებულა.

რით ხსნიან ამ მდგომარეობას? ჩვეულებრივ, უამინდობით იმართლებენ თავს. ნამდვილად კი საქმე ასე როდია. სოფელ ქვილაშორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა მუშაობის პირობებით რაიონის დანარჩენი კოლმეურნეობებისაგან სრულიად არ განსხვავდება. ეს კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. აქ კოლმეურნეთა თითქმის ნახევარი (120 კაცი და ქალი) სტახანოველია. თითქმის ყველა დავალება წარმატებით სრულდება. ასევე კერძოდ ჩაის დარგშიც: ერთიორად და მეტად შეასრულეს ჩაის თესლის დამზადების გეგმა, თავი ისახელეს ჩაის თესვის, პლანტაციების საზამთრო გადბარვის, სადრენაჟო ქსელის გაყვანისა და რემონტის, ჩაის უხეში ფოთლის დამზადების და სხვა სამუშაოთა შესრულებაში.

მაგრამ ყველგან ასე არ მუშაობენ. ბევრ კოლმეურნეობაში ითმენენ შრომის დისციპლინის დარღვევას, აგროწესების შეუსრულებლობას, სამუშაოთა გაცდენას. რაიონის 9 კოლმეურნეობიდან ოთხს თესლის დამზადების დავალება არ შეუსრულებია. ასევე უხეშად დაირღვა ვადები და გეგმები შეუსრულებელი დარჩა მთელ რიგ სხვა სამუშაოებში.

პლანტაციების განოყიერებისა და საზამთრო გადბარვის 1951 წლის მეოთხე კვარტალის დავალება რაიონში მხოლოდ ერთი მესამედით შესრულდა, ხოლო სადრენაჟო ქსელის მოწყობის სამუშაოები, გარდა ორიოდე კოლმეურნეობისა, რიგიანად არც კი დაუწყიათ.

სოფელ გუმბრის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმით 20 ჰექტარი პლანტაციის მომზადება ევალებოდათ, მაგრამ ეს სამუშაო დიდი დაგვიანებით დაიწყეს. მუშახელი საკმაოდ ჰყავდათ, ამინდიც ხელსაყრელი იყო, მაგრამ ძალები სათანადოდ ვერ გამოიყენეს. ამ კოლმეურნეობის მარტო პირველ ბრიგადაში სიის მიხედვით 55 შრომისუნარიანი კოლმეურნე ირიცხება, ფაქტიურად ყოველდღიური დავალების შესრულებაზე დაახლოებით 40 კოლმეურნე მუშაობს. ამ ბრიგადის წევრები დ. ჩოგოვაძე, კ. მელაძე და სხვები ხშირად აცდენენ სამუშაოს.

ასევე გაურბიან კოლმეურნეობაში დავალების შესრულებას მეორე ბრიგადის წევრები კ. რუხაძე, ე. თორთლადე, ვ. მელაძე, შ. ჩოგოვაძე და სხვ. მსგავსი მდგომარეობაა კოლმეურნეობის დანარჩენ ბრიგადებშიც. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები (თავმჯდომარე ვ. ჭუმბურიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. გურეშიძე) რატომღაც ურიგდებიან იმ ფაქტს, რომ კოლმეურნეობიდან უნებართვოდ გასულია სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამუშაოდ (უმთავრესად მეხანძრეებად, დარაჯებად და სხვ.) რამდენიმე კოლმეურნე, მაგრამ ისინი ითთო ჰექტარამდე საკარმიდამო ნაკვეთებს კვლავ ინარჩუნებენ.

კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას მხოლოდ მაშინ მოაგონდა პლანტაციის მომზადების საკითხის განხილვა, როცა ამ სამუშაოს დამთავრების ვადა უკვე იწურებოდა. ცხადია საკითხის განხილვას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პლანტაციის მომზადების გეგმა კოლმეურნეობამ მესამედითაც ვერ შეასრულა.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სხვა კოლმეურნეობებშია.

რა დასკვნა გააკეთეს აღნიშნული მდგომარეობიდან რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა? უნდა ითქვას, რომ თვეების მანძილზე რაკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს ჩაის პლანტაციების გაშენებისა და მოვლის საკითხები არც კი განუხილავთ. შემდეგ, როცა სერიოზული ჩამორჩენა გახსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა, დაფაცურდნენ. გასული წლის 15 დეკემბერს რაიონული თათბირი მოაწყეს, 18 დეკემბერს რაიკომის ბიურო შედგა, 20 დეკემბერს კი რაისაბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომა. აღნიშნეს არსებული გარღვევები, დადგენილებაც მიიღეს, მაგრამ, ასეთმა ნაუცბათევმა ღონისძიებებმა საქმეს ვერ უშველა. 1951 წლის გეგმიდან რაიონში კვლავ შეუსრულებელია 71 ჰექტარი პლანტაჟი (გეგმის თითქმის ნახევარი), დაუბარავია პლანტაციების უმეტესი ნაწილი, შეუტანელია სასუქი, მოუწყობელია სარწყავი არხები.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც: წყალტუბოს მტს-ს საწარმოო გეგმით მიმდინარე წლის 1 იანვრამდე რაიონის კოლმეურნეობებისათვის 50 ჰექტარი საჩაიე პლანტაჟი უნდა მოემზადებინა. რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ კი მტს-თან შეუთანხმებლად და კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დაუდებლად მექანიზებული წესით 122 ჰექტარი პლანტაჟის შესრულება გაითვალისწინა. კოლმეურნეობები დაიმედებული იყვნენ, რომ ამ ფართობს მტს-ი მოხნავდა. მაგრამ იმედი მათ მალე გაუცრუვდათ, — მტს-მა მხოლოდ თავისი საწარმოო გეგმით გათვალისწინებული ფართობები მოხნა.

შარშან რაიონში ჩაის პლანტაციების მოუვლელობისა და შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად მნიშვნელოვანი რაოდენობით დაიკარგა ჩაის ფოთოლი. თუ ასე გაგრძელდა მუშაობა, მსგავსი მდგომარეობის გამეორებისაგან წყალტუბოს რაიონი წელსაც არ არის დაზღვეული.

შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ პარტიის წყალტუბოს რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ჭრაქჭორების საზამთრო რემონტი

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5 იანვრის ცნობებით)

	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით		წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ხაშურის	71,4	თელეთის	100,0
აგარის	38,0	მცხეთის	47,3
ქარელის	62,5	გარდაბნის	54,7
რუსოსის	63,2	მარნეულის	21,1
გორის	54,8	შულავრის	16,2
ტყვიავის	110,8	ქაჩაღნის	11,1
ახალსოფლის	54,5	ბოლნისის	23,5
შინდისის	62,5	თამარისის	60,9
კასპის	36,4	საგარეჯოს	65,0
წითელქალაქის	38,2	ი ო რ ი ს	57,5
დუშეთის	65,7	სართიჭალის	62,0
ახალქალაქის	45,1	წითელწყაროს (მეცხოველეობის)	0
ვაჩიანის	30,6	ახალქალაქის (მეცხოველეობის)	44,4
ბოგდანოვკის	44,2	მახარაძის	76,7
ახალციხის	64,5	ლანჩხუთის	90,6
ასპინძის	70,6	ჩოხატაურის	50,0
ადიგენის	14,3	აბაშის	93,9
თიანეთის	65,6	ცხაკაიას	103,2
წალკის	71,4	კოლხიდის	90,9
ავრალის	70,6	გეგეჭკორის	77,8
დმანისის	61,1	ზუგდიდის	48,6
ასურეთის	50,0	წალენჯიხის	58,3
მანგლისის	62,5	ჩხოროწყუს	73,3
გურჯაანის	63,5	ხობის	66,7
კაჭრეთის	70,8	ქუთაისის	86,2
ბადიაურის	100,0	წყალტუბოს	93,8
ულიანოვკის	63,5	სამტრედიის	78,9
წნორის	60,0	წულუკიძის	86,4
ალაზნის	67,2	ვ ა ნ ი ს	88,2
ტიბაანის	73,5	თერჯოლის	100,0
წითელწყაროს	91,3	საჩხერის	100,0
ქედის	106,5	ზესტაფონის	64,3
შირაქის	63,6	გულრიფშის	95,8
გამარჯვების	70,3	გ ა ლ ი ს	63,6
თელავის	82,5	ოჩამჩირის	80,8
ნაფარეულის	68,2	გუდაუთის	62,5
ახმეტის	70,2	გაგრის	83,3
ყვარლის	61,5	ქობულეთის	66,7
ენისლის	76,2	სტალინირის	35,0
ლაგოდეხის	60,0	ქსუსის	56,5
აფენის	61,8	ზნაურის	61,1
დიღმის	57,9	**სულ საქართველოს სსრ**	**63,2**
მარტყოფის	82,0		

გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გამგეობის მესამე პლენუმი

ბერლინი, 7 იანვარი. (საკდესი). გუშინ დუისბურგში მაქს რაიმანის თავმჯდომარეობით გაიმართა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის მესამე პლენუმი.

როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა პლენუმზე, აღნიშნა, რომ შუმანის გეგმის განზრახული რატიფიკაცია, მოლაპარაკება საერთო ხელშეკრულებასა და დამატებითს შეთანხმებებზე, საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღებისათვის მზადება და ადენაუერის მთავრობის წინადადება გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ — ყოველივე ეს ამერიკელ და გერმანელ იმპერიალისტთა საერთო პროგრამაა, რომლის მიზანია გერმანიის მიწაწყალზე საომარი მზადების დაჩქარება.

გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვით, თქვა რაიმანმა, იმედოვნებენ სერიოზული ლახვარი ჩასცენ დასავლეთ გერმანიის პატრიოტულ ძალებს, რათა განახორციელონ ევროპაში ძირითად სამხედრო ბაზად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის პროგრამა. 1933 წელს ჰიტლერმა მეორე მსოფლიო ომისათვის მზადება დაიწყო სწორედ ასევე, გერმანიის კომუნისტების, ხოლო შემდეგ ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანის დევნით. რაც უფრო ძლიერია ხალხის წინააღმდეგობა ადენაუერისა და ლერის პოლიტიკისადმი, მით უფრო მეტად მიმართავენ ისინი ტერორის საშუალებებს და მართვის ფაშისტურ მეთოდებს.

სწორედ ამით იქმნება დიდი საფრთხე ყველა პატრიოტისა და მშვიდობისმოყვარე ადამიანისათვის დასავლეთ გერმანიაში. განსაკუთრებით არ შეიძლება ჯეროვნად არ შეგფასოთ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის საფრთხის სერიოზულობა. გერმანელმა ხალხმა უნდა აიცილოს ეს დატყვევება, რომელიც მართულია დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა წინააღმდეგ, გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანებისა და მშვიდობიანი მომავლის უფლების წინააღმდეგ და ამით დაამარცხოს ყველა ისინი, ვინც დაინტერესებულია ომით,—ერისა და დემოკრატიის მტრები.

მაქს რაიმანმა დაწვრილებით დაასაბუთა პროექტი პასუხისა, რომელიც უნდა გაეგზავნოს ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოს ბონის შინაგან საქმეთა მინისტრ ლერის წინადადებაზე გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ. ამ პასუხში გერმანიის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ ადენაუერის მთავრობა არღვევს კონსტიტუციას და გადადის ბატონობის ფაშისტურ მეთოდებზე.

„ლერის ცდა კონსტიტუციის მტრად წარმოადგინოს ყველა, ვინც ადენაუერის მთავრობის წინააღმდეგ გამოდის, — თქვა რაიმანმა,—ცხადყოფს, რომ ადენაუერსა და ლერს სურთ ჩაახშონ მათი სამხედრო პოლიტიკისადმი ყოველგვარი ოპოზიცია... გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური გამგეობის პასუხი სასტიკი ბრალდებაა გათიშვისა და ომის ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ და ბასრი იარაღი იქნება ეროვნულ ბრძოლაში ხალხისადმი მტრული ადენაუერის მთავრობის გადაყენებისათვის“.

რაიმანის მოხსენების შემდეგ პლენუმმა ერთხმად დამტკიცა ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოსათვის გასაგზავნი პროექტი პასუხისა ლერის წინადადებაზე გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ და გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე მაქს რაიმანი და ფედერალური პარლამენტის დეპუტატები ჰაინც რენერი და ვალტერ ფიში დანიშნა პარტიის სრულუფლებიან წარმომადგენლად ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს წინაშე.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის კონფერენციაზე

ლონდონი, 7 იანვარი. (საკდესი). 6 იანვარს ლონდონში გაიმართა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის კონფერენცია. შუა აღმოსავლეთის საკითხზე. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ პალმ დატმა. მან განაცხადა, რომ კონფერენციის მიზანია გააცნოს ინგლისელ ხალხს შუა აღმოსავლეთის მდგომარეობა და დარაზმოს იგი აქტიური მოქმედებისათვის შუა აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის დასახმარებლად. ინგლისის ჯარები ამ რაიონში ძირითად სამხედრო ძალას წარმოადგენენ და ამიტომ ხალხის ფართო მასების ანტიიმპერიალისტური განწყობილება მიმართულია ინგლისელ მმართველთა წინააღმდეგ. „ამ უაღრესად საყურადღებო გარემოებას, — თქვა დატმა,—დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისელი ხალხისათვის და ინგლისის მუშათა მოძრაობისათვის“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დელეგატებმა და ეგვიპტიდან, ერაყიდან, პაკისტანიდან, სამხრეთ აფრიკის კავშირიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის შუა აღმოსავლეთის საკითხთა კომიტეტის წევრებმა. მათ დაწვრილებით ილაპარაკეს შუა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების პირობებსა და მათს ბრძოლაზე დამოუკიდებლობისათვის. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა ივონრ მონტეგიუმ უამბო დამსწრეთ, თუ როგორ მიმდინარეობს შუა აღმოსავლეთში ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება და მოუწოდა მათ გააჩაღონ ინგლისში კამპანია „იმათ სამხილებლად, ვინც მზად არის მზარი დაუჭიროს მალაიისა და ეგვიპტის ხალხების წინააღმდეგ ძალადობის ყოველ აქტს“.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ, რომ მთლიანად გამოყვანილ იქნას ინგლისის ჯარები ეგვიპტიდან, სუდანიდან, ტრანსიორდანიიდან და ერაყიდან, კვიპროსიდან და შუა აღმოსავლეთის ყველა ბაზიდან. ჩვენ მოვითხოვთ კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს ინგლისის მუშათა მოძრაობის ყველა მონაწილის ორგანიზებული საქმიანობა მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ამ საერთო ბრძოლაში“.

პლევენის მთავრობა გადადგა

პარიზი, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს 341 ხმის უმეტესობით 243 ხმის წინააღმდეგ ეროვნულმა კრებამ უარი უთხრა ნდობაზე რენე პლევენის მთავრობას. კენჭისყრის შემდეგ პლევენმა დაუყოვნებლივ განუცხადა პრეზიდენტ ორიოლს თავისი მთავრობის გადადგომა. პლევენის მთავრობა დაეცა, მან 5 თვესაც კი ვერ გაძლო.

პლევენის მთავრობის გადადგომა იმით აიხსნება, რომ მისმა ღონისძიებებმა ხალხის ფართო მასებში ისეთი სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია, რომ პარლამენტის რეაქციული უმრავლესობის მნიშვნელოვანი ჯგუფები, რომლებსაც შიში აღუძრა ამ პოლიტიკის არაპოპულარობამ ამომრჩეველებში, იძულებული გახდნენ კომუნისტებთან ერთად, რომლებიც განუწყვეტლივ ამხილებდნენ ამ პოლიტიკას, ხმა მიეცათ მთავრობისადმი ნდობის წინააღმდეგ.

პლევენის ხანმოკლე მართვა აღინიშნა მთელი რიგი ღონისძიებებით, რომლებსაც მოსდევს საფრანგეთის შემდგომი დამორჩილება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისა. ამ ღონისძიებათა შორის არის: ამერიკელთა მიერ საფრანგეთის ტერიტორიის ოკუპაციის გაძლიერება, ეროვნულ კრებაში ყბადაღებული „შუმანის გეგმის“ რატიფიკაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის საფრანგეთის ქვანახშირისა და მეტალურგიულ მრეწველობას, მოლაპარაკების აქტივიზაცია ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნისათვის, რომელიც მოწოდებულია არა მარტო დაფაროს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, არამედ გამანადგურებელი ლახვარიც ჩასცეს საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს.

თავისი არსებობის უკანასკნელ კვირეებში პლევენის მთავრობამ გააჩაღა უმაგალითო შეტევა საფრანგეთის სამოქალაქო ეკონომიკის წინააღმდეგ, ცდილობდა სამხედრო ხარჯების საშინელ გადიდებას როგორც ვიეტნამში ომის განგრძობისათვის, ისე აგრესიული ატლანტიკის ბლოკის პროგრამის შესაბამისად გამალებული შეიარაღებისთვისაც. თუ 1951 წლის ბიუჯეტში ოფიციალური სამხედრო ხარჯები შეადგენდა 740 მილიარდ ფრანკს, ვაშინგტონის მოთხოვნით ეს ხარჯები 1952 წელს პლევენმა გადაწყვიტა გაიდიდებინა ოფიციალური ცნობებით 1.160 მილიარდამდე, ხოლო ფაქტიურად თითქმის 1.500 მილიარდ ფრანკამდე.

ამ უდიდესი სამხედრო ხარჯების დასაფარავად პლევენმა გადაწყვიტა გაეიდიდებინა მთელი არსებული გადასახადები და გამოენახა ახალი გადასახადები, აგრეთვე მინიმუმამდე შეემცირებინა ასიგნებანი საქალაქო საკრებაზე. ამ მიზნით იგი ცდილობდა დაემყარებინა თავისებური ეკონომიკური დიქტატურა ეგრეთწოდებული „შემზღუდველი კანონებით“, რომლებიც საშუალებას აძლევდა მთავრობას პარლამენტის დაუდასტურებლად შეემცირებინა რკინიგზების შესანახი და სოციალური უზრუნველყოფის ასიგნებანი.

ცდილობდა რა მიეღწია ეგრეთწოდებული საფინანსო კანონის დამტკიცებისათვის, რომელიც ახალ საგადასახადო სიძნელეებსა და საშინელ ბრძოლებს ელოდა, პლევენმა მიმართა ნდობის საკითხის დაყენების ტაქტიკას, რათა მთავრობის კრიზისის მუქარით მიეღწია თავისი გეგმების განხორციელებისათვის. 4 და 5 იანვარს პლევენმა „რეკორდი“ დაამყარა ნდობის საკითხთა დაყენებაში — მან 8-ჯერ დასვა საკითხი ნდობის შესახებ მთავრობის საფინანსო კანონპროექტის სხვადასხვა მუხლის მიხედვით.

დღეს ეროვნულ კრებას კენჭი უნდა ეყარა ზედიზედ ნდობის ყველა 8 საკითხისათვის. მაგრამ პირველივე საკითხისათვის — „რკინიგზების ეროვნული საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ“, ესე იგი არსებითად მისი დენაციონალიზაციისა და საფრანგეთის რკინიგზის ქსელის შესანახი კრედიტების შემცირებისათვის კენჭისყრის დროს, — პლევენმა მარცხი განიცადა. საგულისხმოა, რომ მემარჯვენე სოციალისტებმა, რომლებსაც წინათ არაერთხელ გადაურჩენიათ პლევენის მთავრობა კენჭისყრაში თავშეკავებით, ამჯერად ვერ შეძლეს დაეცვათ წინანდელი ტაქტიკა და იძულებული გახდნენ დემაგოგიური მიზნებით ხმა მიეცათ წინააღმდეგ, რამაც საბოლოო ანგარიშით გადაწყვიტა მთავრობის ბედი.

ის გარემოება, რომ კომუნისტ დეპუტატებთან ერთად პლევენის მთავრობის წინააღმდეგ ხმა მისცა ბევრმა რეაქციულმა პარლამენტარმა, მოწმობს, რომ საფრანგეთის მმართველი პარტიების რეაქციულ ბლოკში უთანხმოებაა.

საფრანგეთის მთავრობის კრიზისი ასახავს ხალხის ღრმა უკმაყოფილებას მთავრობის ახლანდელი პოლიტიკის გამო.

პარიზი, 8 იანვარი. (საკდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ ამერიკის აგრესიული პროგრამის ინიციატორების ახალი ცდა—მოატყუონ ხალხთა საზოგადოებრივი აზრი

პარიზი, 7 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების დელეგაციებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ მოხსენების შედგენაში და რომლებმაც შეიტანეს რეზოლუცია ამ მოხსენების მოწონების შესახებ, ახალი მანევრი იხმარეს, რათა უზრუნველეყოთ თავისთვის იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერა, რომლებმაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ მოიწონეს ეს მოხსენება და არა სურთ ჩაბმულ იქნან ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ სამხედრო ავანტიურაში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოლექტიურ ღონისძიებათა“ ალმით. ამიტომ მათ მიიღეს ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის მთელი რიგი სახელმწიფოების შესწორებანი 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისადმი; ეს შესწორებანი ასახავენ ამ სახელმწიფოთა ცდებს — თუნდაც რამდენადმე დაიზღვიონ თავი ამერიკის სამხედრო გეგმების განხორციელებაში ძალად ჩათრევისაგან.

კანადის დელეგატმა, რომელიც პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე გამოვიდა, აღიარა, რომ სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ რეზოლუციის ავტორები, როცა ხსენებული შესწორებანი მიიღეს. მან მწუხარებით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ერთიანობა ისეთ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ განხორციელებისას, როგორიც გამოყენებულ იქნა კორეაში და რომლებიც, როგორც მთელმა მსოფლიომ იცის, ნამდვილად წარმოადგენდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით მიჩქმალულ ამერიკის შეიარაღებულ ინტერვენციას.

ცდილობდა რა ამერიკის ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ აგრესიული პროგრამა დაეცვა სამართლიანი დასაბუთებული კრიტიკისაგან სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების მხრივ, კანადის დელეგატმა უხეშ შულერულ ხერხს მიმართა. ვითომც გულუბრყვილო იყოს, მან იკითხა, რატომ იღაშქრებს სსრ კავშირი იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია იმ კოლექტიური უშიშროების პრინციპის განხორციელება, რაც საფუძვლად უდევს წესდებას, და რომლებიც განკუთვნილია აგრესიასთან საბრძოლველად. ამ მანევრის მიზანი იყო ცდა—შეექმნა ყალბი შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა კავშირი კოლექტიური უშიშროების იდეის მოწინააღმდეგედ გამოდის.

მაგრამ ეს ცდები წარმოადგენს უვარგისი საშუალებებით ხელყოფას. საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვიშინსკიმ უკვე ამხილა ეს მანევრი და აღნიშნა, რომ წესდება მართლაც ითვალისწინებს ღონისძიებებს იმ სახელმწიფოთა აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ხელყოფენ საერთაშორისო მშვიდობას და ხალხთა უშიშროებას. „მაგრამ,—თქვა მან,—არ უნდა დავივიწყოთ ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ ამ ღონისძიებათა გამოსაყენებლად წესდებაში დადგენილია განსაკუთრებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს იმ გადაწყვეტილებათა სისწრაფეს და სრულ საფუძვლიანობას, რომელთა ძალითაც ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქმედება შეიძლება აღიარებულ იქნას აგრესიულად და თვით ეს სახელმწიფო შეიძლება გამოცხადდეს აგრესორად. ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენება კი ასეთ გარანტიას არ შეიცავს, ასეთი წესი უგულებელყოფილია და, უფრო მეტიც, პირდაპირ ირღვევა იმით, რომ უშიშროების საბჭოს უფლებანი და რწმუნებანი, რომლებიც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრასთან, გადაქცეულ გენერალურ ასამბლეაზე, რომელსაც ენიჭება ასეთივე რწმუნებანი, რაც სრულიადაც არ არის გათვალისწინებული წესდებით“. შეერთებული შტატები ამას სჩადიან სწორედ იმისათვის, რომ, გენერალურ ასამბლეაში მათს ძორჩილ უმრავლესობაზე დაყრდნობით, მიაღებინონ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც აგრესიის მსხვერპლს სახავენ აგრესორად, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით მიჩქმალონ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების „ყველა“ უკანონო, დამპყრობლური აგრესიული აქცია. ეს ერთხელ კიდევ აღიარა კანადის დელეგატმა, რომელმაც განაცხადა, რომ ისეთ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ ნიმუშს, როგორიც გათვალისწინებულია 11 ქვეყნის მოხსენებითა და რეზოლუციით, წარმოადგენს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებანი“ კორეაში, ე. ი. ამერიკის შეიარაღებული თავდასხმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტს, კანადის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი ილაშქრებს ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის გაუქმების პუნქტის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ პუნქტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს უშიშროების საბჭოს პერიოდულ სხდომაზე პირველ რიგში განხილულ იქნას საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის ხელშესაწყობად. მან აგრეთვე განაცხადა, რომ პრინციპულად არ ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს პერიოდული სხდომის მოწვევის წინააღმდეგ, მაგრამ დასძინა, ეს თვით უშიშროების საბჭოს საქმეაო.

მას შემდეგ, რაც /ბამოვდა იუგოსლავიის წარმომადგენელი, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო იმ მთავრობის წარმომადგენლისაგან, რომელიც შეერთებული შტატებისადმი განსაკუთრებით გულმოდგინე ლაქიერ მორჩილებას იჩენს, სავსებით დაუჭირა მხარი როგორც ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენებას, ისე 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, სტყუა აიღო ეკვადორის დელეგატმა. მისი სიტყვა, ისევე როგორც პატარა ქვეყნების მრავალი წარმომადგენლის გამოსვლა, გამსჭვალული იყო შიშით, ვაი თუ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ ამერიკის სისტემამ ჩემი ქვეყანა სამხედრო ავანტიურაში ჩაითრიოსო. მაგრამ ამაზე იგი ლაპარაკობდა არაპირდაპირ, არამედ მეტად ბუნდოვანი ნართაულებით და იმით დაამთავრა, რომ საერთოდ გამოთქვა თანხმობა 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტზე.

ერაყის დელეგატმაც განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს. მაგრამ მეტად აშკარად გამოთქვამდა ეჭვს, რომ ეგრეთწოდებულმა „კოლექტიურმა ღონისძიებებმა, როგორც მათი ავტორები ამტკიცებენ, მშვიდობა მოგვანეჭონო. ნამდვილი მშვიდობა, განაცხადა ერაყის წარმომადგენელმა, მანამდე არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ ყველა დიდი სახელმწიფო არ გამოძებნის ურთიერთმისაღებ საფუძველს ყველა იმ სადავო პრობლემის გადასაჭრელად, რომლებიც დაძაბულობას იწვევენ საერთაშორისო ვითარებაში. აღდგენილ უნდა იქნას დიდ სახელმწიფოთა ის თანხმობა, რომელზეც დამყარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. ამაზე დაყრდნობით, თქვა ერაყის წარმომადგენელმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტის ის ნაწილს, რომელიც მოითხოვს, რათა უშიშროების საბჭომ წესდების 28-ე მუხლის საფუძველზე დაუყოვნებლივ მოიწვიოს პერიოდული სხდომა ამ ღონისძიებათა საკითხის განსახილველად, რომლებიც უზრუნველყოფენ ამჟამად საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობის აღმოფხვრას და ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას!

დღევანდელ დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა არგენტინის დელეგატი. მან არაორაზროვნად განაცხადა, რომ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენებასა და 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის მიზანია წესდების ძირითადი დარღვევა და, უწინარეს ყოვლისა, ერთხმივობის პრინციპის ლიკვიდაცია უშიშროების საბჭოში არაპროცედურული საკითხების გადაჭრისას. ამ წინადადებათა ინიციატორები, თქვა მან, ცდილობენ ახლა შემოვლითი გზით გააკეთონ ის, რის გაკეთებასაც თავის დროზე არგენტინა აშკარად მოითხოვდა, ე. ი. გადაისინჯოს წესდება, რათა იქიდან გამორიცხულ იქნას ხსენებული პრინციპი. მაგრამ არგენტინის ეს წინადადება უარყოფილ იქნა, წესდება შეცვლილი არ არის და ამიტომ წინადადება, რომლის მიზანია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა შეიარაღებული ძალები გენერალური ასამბლეის განკარგულებაში გადავიდნენ, არ შეიძლება მიღებულ იქნას, რამდენადაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება წესდებას. არგენტინის დელეგატმა აგრეთვე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის მთელ რიგ სხვა პუნქტებს, და განაცხადა, რომ ხმას მისცემს ამ პროექტს, გარდა ხსენებული პუნქტებისა.

ამით დამთავრდა პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომა.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ შეაჯამა დისკუსიის შედეგები და დამაჯერებლად ცხადყო, რომ ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების ცდები—ჩაეთრიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებებში“

პარიზი, 7 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელ დღის სხდომაზე დამთავრდა კამათი ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენების გამო. სიტყვები წარმოთქვეს ინდოეთის, პაკისტანისა და დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილის პოზიციისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ინდოეთის დელეგატის გამოსვლა. მან გაიხსენა, რომ გენერალური ასამბლეის ჯერ კიდევ შარშანდელ სესიაზე ინდოეთის დელეგაციამ უარი თქვა მხარი დაეჭირა რეზოლუციისთვის „მშვიდობის სასარგებლოდ ერთიანობის“ შესახებ, რადგან ეს რეზოლუცია იმას ნიშნავდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაეყენებინათ იძულებითი სანქციების განხორციელებისათვის აპარატის შექმნის გზაზე და ამავე დროს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ სადავო პრობლემების მშვიდობიანად მოწესრიგების საკითხს. წესდების მიხედვით მარტო უშიშროების საბჭოს შეუძლია განსაზღვროს, ვინ უქმნის საფრთხეს მშვიდობას, და ამის შესაბამისად გამოიტანოს გადაწყვეტილება. გენერალური ასამბლეის რეკომენდაციებს კი ამ საკითხებზე არ შეიძლება სავალდებულო ხასიათი ექნეს. მაგრამ თუ ასეთი რეკომენდაციები შეასრულა მხოლოდ ზოგიერთმა სახელმწიფომ, მაშინ როცა სხვა ქვეყნები, მათ შორის რომელიმე დიდი სახელმწიფო, არ ეთანხმებიან ასეთ რეკომენდაციებს, ამას შეუძლია მხოლოდ გამოიწვიოს ომის საფრთხის გაძლიერება. აი ამიტომ, განაცხადა ინდოეთის დელეგატმა, ინდოეთის დელეგაცია თავს შეიკავებს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრაში.

ბრიტანეთის დელეგატის ლოიდის გამოსვლა არ განირჩეოდა შინაარსიანობით. მან განაცხადა, რომ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კრიტიკა, რასაც ვიშინსკის სიტყვა შეიცავდა, მას „იმედის გაცრუებად“ მიიჩნია. მაგრამ ლოიდს არ მოუყვანია არც ერთი არგუმენტი, რომელსაც შეეძლო გაებათილებინა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წამოყენებული საბუთები. იგი ცდილობდა უარგუმენტობა აენაზღაურებინა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის არსის შესახებ გაცვეთილ ცილისწამებლურ მტკიცებათა გამეორებით.

დისკუსიის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. საბჭოთა დელეგატის სიტყვა დაძაბული ყურადღებით მოისმინეს ყველა დელეგაციამ, აგრეთვე მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ და ჟურნალისტებმა, რომლებმაც ყველა ადგილი დიკავეს კომიტეტის ჩვეულებრივად ნახევრადცარიელ დარბაზში. ვიშინსკიმ თავის სიტყვაში, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, ამომწურავი ანალიზი გაუკეთა ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ ამერიკის გეგმის განხილვას პირველ კომიტეტში და მრავალი საბუთი მოიყვანა ამ ღონისძიებათა აგრესიული ხასიათის დასამტკიცებლად.

ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ მთელი რიგი დელეგაციები უარყოფითად მოეკიდნენ 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის გაუქმების პუნქტის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ პუნქტის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს უშიშროების საბჭოს პერიოდულ სხდომაზე პირველ რიგში განხილულ იქნას საკითხი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის ხელშესაწყობად. მან აგრეთვე განაცხადა, რომ პრინციპულად არ ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს პერიოდული სხდომის მოწვევის წინააღმდეგ, მაგრამ დასძინა, ეს თვით უშიშროების საბჭოს საქმეაო.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მთავრობის წარმომადგენლისაგან, რომელიც შეერთებული შტატებისადმი განსაკუთრებით გულმოდგინე ლაქიერ მორჩილებას იჩენს, სავსებით დაუჭირა მხარი როგორც ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენებას, ისე 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, სტყუა აიღო ეკვადორის დელეგატმა. მისი სიტყვა, ისევე როგორც პატარა ქვეყნების მრავალი წარმომადგენლის გამოსვლა, გამსჭვალული იყო შიშით, ვაი თუ ამერიკის ბლოკის ქვეყნებმა ჩვენ ქვეყანა ომში ჩაითრიონ. ამ შიშს ამაზე იგი ლაპარაკობდა არაპირდაპირ, არამედ მეტად ბუნდოვანი ნართაულებით და იმით დაამთავრა, რომ საერთოდ გამოთქვა თანხმობა 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტზე.

ერაყის დელეგატმაც განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერს 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს. მაგრამ მეტად აშკარად გამოთქვამდა ეჭვს, რომ ეგრეთწოდებულმა „კოლექტიურმა ღონისძიებებმა, როგორც მათი ავტორები ამტკიცებენ, მშვიდობა მოგვანეჭონო. ნამდვილი მშვიდობა, განაცხადა ერაყის წარმომადგენელმა, მანამდე არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ ყველა დიდი სახელმწიფო არ გამოძებნის ურთიერთმისაღებ საფუძველს ყველა იმ სადავო პრობლემის გადასაჭრელად, რომლებიც დაძაბულობას იწვევენ საერთაშორისო ვითარებაში. აღდგენილ უნდა იქნას დიდ სახელმწიფოთა ის თანხმობა, რომელზეც დამყარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. ამაზე დაყრდნობით, თქვა ერაყის წარმომადგენელმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტის ის ნაწილს, რომელიც მოითხოვს, რათა უშიშროების საბჭომ წესდების 28-ე მუხლის საფუძველზე დაუყოვნებლივ მოიწვიოს პერიოდული სხდომა ამ ღონისძიებათა საკითხის განსახილველად, რომლებიც უზრუნველყოფენ ამჟამად საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილი დაძაბულობის აღმოფხვრას და ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას!

დღევანდელ დილის სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა არგენტინის დელეგატი. მან არაორაზროვნად განაცხადა, რომ ეგრეთწოდებულ „კოლექტიურ ღონისძიებათა“ კომიტეტის მოხსენებასა და 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის მიზანია წესდების ძირითადი დარღვევა და, უწინარეს ყოვლისა, ერთხმივობის პრინციპის ლიკვიდაცია უშიშროების საბჭოში არაპროცედურული საკითხების გადაჭრისას. ამ წინადადებათა ინიციატორები, თქვა მან, ცდილობენ ახლა შემოვლითი გზით გააკეთონ ის, რის გაკეთებასაც თავის დროზე არგენტინა აშკარად მოითხოვდა, ე. ი. გადაისინჯოს წესდება, რათა იქიდან გამორიცხულ იქნას ხსენებული პრინციპი. მაგრამ არგენტინის ეს წინადადება უარყოფილ იქნა, წესდება შეცვლილი არ არის და ამიტომ წინადადება, რომლის მიზანია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა შეიარაღებული ძალები გენერალური ასამბლეის განკარგულებაში გადავიდნენ, არ შეიძლება მიღებულ იქნას, რამდენადაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება წესდებას. არგენტინის დელეგატმა აგრეთვე აღნიშნა, რომ არ ეთანხმება 11 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის მთელ რიგ სხვა პუნქტებს, და განაცხადა, რომ ხმას მისცემს ამ პროექტს, გარდა ხსენებული პუნქტებისა.

ამით დამთავრდა პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომა.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 7 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე ეწევიან თავდაცვითს ბრძოლებს და სერიოზულ ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილებმა დასავლეთ სანაპიროსთან ჩაძირეს **მტრის 2 ხომალდი,** რომლებიც ბარბაროსულად უშენდნენ არტილერიას სანაპირო დასახლებულ რაიონს.

გუშინ სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 თვითმფრინავი და დაახიანეს 2 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროზე მშვიდობიანი დასახლებული პუნქტების დაბომბვაში.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 7 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

იმ ქვეკომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, რომელიც დღის წესრიგის მე-3 პუნქტს განიხილავს, ამერიკელებმა სცადეს შანტაჟით აეძულებინათ ჩვენი მხარე მიეღო მათი უგუნური მოთხოვნა ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევისა და კორეაში ნაგებობათა შეზღუდვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ მოლაპარაკებს შეწყვეტდნენ. მათ პირდაპირ განაცხადეს, თუ თქვენმა მხარემ ჩვენი წინადადება არ მიიღო, განზრახული გვაქვს მოლაპარაკების წარმოება ზარბაზნებს, ბომბებსა და ტყვიას მივანდოთო.

ჩვენმა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი დიდი ხანია ცდილობენ კარი დაუბშონ მოლაპარაკებს, და იმუქრებიან ომით. ამ გზით ცდილობენ ისინი აიძულონ ჩვენი მხარე დაეთანხმოს მათს უგუნურ მოთხოვნებს. მაგრამ მათი ეგრეთწოდებული „სამხედრო ზეგავლენა“ ვერავის შეაშინებს. ჩვენი მხარე მტკიცედ იბრძოდა და კვლავაც იბრძოლებს კორეის საშინაო საქმეებში ჩარევის ყოველგვარი უგუნური მოთხოვნის წინააღმდეგ. რადგან ჩვენი მხარე თანმიმდევრულად და გულწრფელად ისწრაფვის მოხდეს დაზავება კორეაში და კორეის საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდეს მშვიდობიანად, მას არაერთხელ წამოუყენებია წინადადებანი, რომლებსაც შეუძლიათ სავსებით უზრუნველყონ მტკიცე და ეფექტიანი დაზავება. მაგრამ მეორე მხარე ქედმაღლურად იკვეხნის თავის სამხედრო ზეგავლენას, რაზეც მას ხელი არ აუღია მოლაპარაკების მთელ მანძილზე და რის გამოყენებაც ფაქტიურად რამდენჯერმე სცადა.

უკვე დროა მან საკმარისი გაკვეთილი მიიღოს ამ ავანტიურებიდან.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც ვანიხილავს დღის წესრიგის მე-4 პუნქტს, მეორე მხარემ ვრცლად განმარტა თავისი 2 იანვრის უაზრო წინადადება.

ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, რომ მეორე მხარის ვრცელმა განმარტებამ, რომელიც სრულიადაც ვერ ხსნის მისი საბუთების წინააღმდეგობას, კიდევ უფრო დაადასტურა ჩვენი მოსაზრებანი მეორე მხარის წინადადებათა შესახებ. მეორე მხარის წინადადების არსი იმით ამოიწურება, რომ იგი მოითხოვს ჩვენი მხარის მიერ დაკავებული მეორე მხარის ყველა სამხედრო ტყვის განთავისუფლებასა და რეპატრიაციას, ამავე დროს მეორე მხარე აპირებს მძევლად დაიკავოს ტყვედწაყვანილი ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების დიდი ხელში ჩაუგდოს ბანდიტებს ლი სინ მანსა და ჩან კაი-შის, ამტკიცებს რა, რომ ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს არა სურთ რეპატრიირებულ იქნან. ჩვენმა დელეგატმა კვლავ საზეიმოდ და კატეგორიულად უარყო მეორე მხარის ეს უაზრო წინადადება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღის წესრიგის მე-4 პუნქტის გადასაწყვეტად ორივე მხარემ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ყველა სამხედრო ტყვის დაუყოვნებლივ განთავისუფლებისა და რეპატრიაციის პრინციპი.

ამერიკის ავიაციის ახალი აგრესიული მოქმედება ჩინეთის წინააღმდეგ

პეკინი, 7 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ანდუნდან იუწყება:

მაშინ როცა ამერიკელები კვლავ აქიანურებენ მოლაპარაკებას კორეაში დაზავების შესახებ, ამერიკის ავიაცია 1951 წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში კვლავ არაერთგზის შემოიჭრა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო სივრცეში და მოახდინა დაბომბვა და სროლა.

26 დეკემბერს 18 საათზე ამერიკის თვითმფრინავი გამოჩნდა დადუნგოუს თავზე, ანდუნის სამხრეთ-დასავლეთით და ჩამოაგდო გამაშეშებელი ბომბი. შემდეგ ამ თვითმფრინავმა გადაუფრინა ბეიციხეძს და იქ ჩამოაგდო 4 ფუგასური ბომბი გზატკეცილის ორივე მხარეს. ერთი ბომბი დაეცა კოუძიატუნს, სამ კილომეტრზე ბეიციხეძს აღმოსავლეთით, რის შედეგადაც დაიჭრა 8 მცხოვრები (3 ქალი და 5 კაცი), დანგრეულია ხუთი სახლი და მოკლულია ორი ჯორი.

31 დეკემბერს 18 საათზე მტრის ბომბდამშენმა ბომბი ჩამოაგდო და სროლა აუტეხა პუნქტს 2 კილომეტრზე ტიდინკოუს აღმოსავლეთით. იმავე დღეს 18 საათსა და 38 წუთზე მტრის თვითმფრინავი გამოჩნდა დაგუშანის თავზე და ჩამოაგდო ბომბი დაგუშანის დასავლეთით. ბომბის აფეთქების შედეგად დაიჭრა 5 მცხოვრები და დაინგრა 14 სახლი. თვითმფრინავი მიიმალა 18 საათსა და 45 წუთზე.

ამერიკის ავიაციის პროვოკაციული თავდასხმა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთზე

სინხუას საგენტოს ცნობა

პეკინი, 7 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ანდუნდან იუწყება:

გუშინ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები კვლავ შემოიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში და მოახდინეს დაბომბვა.

6 იანვარს 14 საათსა და 53 წუთზე ამერიკის „F 84“ მარკის 8 თვითმფრინავი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში შემოიჭრნენ, გამოჩნდა ლიაოდუნის პროვინციის ძიანის მაზრაში და ჩამოაგდო 14 ბომბი (სამი მათგანი არ გამსკდარა). 11 ბომბი ჩამოაგდეს ქალაქ ძიანის რკინიგზის სადგურზე. ამის შედეგად დაიჭრა სამი რკინიგზელი, დაინგრა 370 მეტრი რკინიგზა და მოისპო სხვადასხვა მასალა.

იმავე დღის 15 საათსა და 07 წუთზე თვითმფრინავთა ამავე ჯგუფმა კვლავ დაარღვია ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საზღვარი, გამოჩნდა კუანდიანის მაზრის პუნქტ შიჯუცუს თავზე და შემდეგ გაფრინდა უკან კორეისაკენ.

აღმინისტრაციული კომიტეტის შექმნა ჩრდილოეთ ჩინეთში

პეკინი, 8 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგვცემს:

ჩრდილოეთ ჩინეთში შეიქმნა აღმინისტრაციული კომიტეტი. ეს ორგანო დამტკიცა სახელმწიფო აღმინისტრაციულმა საბჭომ 1951 წლის 28 დეკემბერს. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ჩრდილოეთ ჩინეთის საქმეთა მინისტრი ლიუ ლან-დაო. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებად დანიშნული არიან ქალაქ ტიანძინის მერის ყოფილი მოადგილე ლიუ სიუი-ფინი და ჩაჩარის პროვინციის სახალხო მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ჯან-სუ.

უძლიერეს მოსახელეობისა-მებაჯიოსება

2-4 იანვარს ტაშკენტში (ყაზახეთი) ჩატარდა ალ. ბეჰოთა კაშენის უძლიერეს ბოქსიორთა ტრადიციული შეჯიბრება.

სათხლომურო სპორტის ერთ-ერთ ერთეულს სახეობაში — სლალომში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ა. ფილატოვმა (მოსკოვი), მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი დ. როსტოვცევი (ცდსა). მთიდან სწრაფ დაშვებაში პირველი ადგილი დაიკავა დ. როსტოვცევმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. მელნიკოვი, ხოლო მესამეზე—ვ. პრეობრაჟენსკი.

ქალთა შორის მთიდან სწრაფ დაშვებასა და სლალომში გაიმარჯვა ცდსა-ს წარმომადგენელმა ა. ბასალოვამ.

70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა ი. სკვორცოვმა (მოსკოვი), ორეულში— ა. სამოხვალოვმა (სვერდლოვსკი).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები.

ხელოვნების ქრონიკა

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა საახალწლოდ მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის პიესა „ავლაბრის სტამბა“.

დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ჭელიძეს, მხატვრული გაფორმება ა. ვერულაშვილს, მუსიკა კომპოზიტორ ო. თევდორაძეს.

ჯიათუარა. (საკ. კორ.). აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ი. ვაკელის პიესა „რვალი“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები—გ. ტყეშელაძე და მ. ვაშაძე, მსახიობები—მ. კუსიანი, ნ. ქამუშაძე, ა. ბარათაშვილი, ლ. გურული, ვ. ვაშაძე, შ. ბანეთიშვილი, პ. ლოლაძე, ბ. დურმიშიძე, ა. მასაშვილი, ა. დათებაშვილი, გ. მოდებაძე და სხვები.

სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ვაშაძემ, გაფორმა მხატვარმა ნ. ქამუშაძემ, მუსიკა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. სებუას.

ფოთი. (საკ. კორ.). ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა უ. შექსპირის კომედია „ჟირვეულის მორჯულება“, რომელიც ფოთის თეატრის სცენაზე დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. გაბუნიამ. მხატვრობა ეკუთვნის დ. მირიანაშვილს.

ლექცია

9 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შედგება ამხ. ვ. ფარჭოსაძის ლექცია თემაზე: **„ხასამართლო და პროკურატურა სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე“.**

ДЕСЕ ГАЗЕТИ „ЗАРИЯ ВОСТОКА“

პირველი გვერდი „პრავდის“ 8/I მოწონავე—აქტიურად დაუუჭიროთ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება გ. მ. მალენკოვისადმი მისი დაბადების 50 წლისთავის გამო.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გ. მ. მალენკოვს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

წარმოების ნოვატორების გამოცდილებიდან—საუკეთესო ხარისხის პროდუქციის „სიდუმლოებანი“.

მეორე გვერდი მ. მაზანაშვილი — გამსჭვალებული კოლმეურნეობის ეკონომიკა. მ. ტულუში — ლაშის ფერმის საქმეები. ა. ჩიტაია — მეცტრუსეების თათბირი. გ. გოგიაშვილი — სამეცნიერო სესია.

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე — გ. ლებედეევი — იაპონელი ხალხის ბრძოლა.

გ. ბუხნიკაშვილი — „ნაპერწკლიდან“ (ტორის თეატრის ახალი დადგმა).

მკითხველთა წერილები — გ. ჩხეიძე — წარმოების ნოვატორის ლ